

საშუალოვადიანი პრიორიტეტი	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა
"დასაბუთება"	<p>ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლითაც დაცულია ადამიანების უფლება ამ სფეროში. მიუხედავად ამისა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ადამიანებისათვის ხელმიუწვდომელი რჩება ზოგიერთი ფასიანი სამედიცინო მომსახურება, ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას მიიღონ დროული სამედიცინო დახმარება. უსახსრობის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ დიდი დაგვიანებით, დაავადებების გართულებული ფორმებით, რომელთა მკურნალობა უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შედეგად იზრდება მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები, დაავადების გართულებების ალბათობა, მცირდება მკურნალობის ეფექტურობის მაჩვენებელი, იზრდება შეზღუდული შესაძლებლობები, ლეტალობა;</p> <p>სამინისტროს 2018-2021 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებული იქნება სოციალურად დაუცველ და სხვა სოციალური კატეგორიის ფენებზე და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე. მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის ადამიანებისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვას, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით, ამბულატორიულ-მალატექნოლოგიურ დიაგნოსტიკური კვლევის, სახსრების ენდოპროტეზირების, მოსახლეობის დაცვა საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან, ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების, ნევროზული რეგისტრის დაავადებების მქონე პირთა სტაციონარული მკურნალობისა და მოზრდილი მოსახლეობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ფინანსური რისკებისგან დაცვას, სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი სამედიცინო დახმარების მიწოდებას; პირველადი ჯანდაცვის განვითარების ხელშეწყობას;</p> <p>საქართველოს კანონის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, საქართველოს კანონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ, აჭარის ა/რ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დებულების თანახმად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზანს წარმოადგენს ეპიდკეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, დაავადებათა პროფილაქტიკა, მოსახლეობის ინფორმატიულობის დონის გაზრდა და ჩართულობა. დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა.</p>

საშუალოვადიანი მიზანი:	<p>პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანია: სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით. 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოქალაქეების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა, მოსახლეობისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების, ნევროზული რეგისტრის დაავადებების მქონე პირთა სტაციონარული მკურნალობისა და მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ფინანსური რისკებისგან დაცვა, სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთან) ადგილზე დამაგრება (მატერიალური სტიმულირება მათთვის ხელფასის დანამატის დანიშვნით) აჭარის ა.რ მუნიციპალიტეტების სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობის გაზრდის მიზნით მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა.</p>
მირითადი სამოქმედო გეგმა	<p>ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამედიცინო დახმარების ერთიანი წესებისა და პირობების შემუშავების ხელშეწყობა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, დაავადებათა მიმართულებით პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება.</p>

პრიორიტეტი	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა
პროგრამა	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა
განხორციელების ვადები	2018 -2021 წლები.
პროგრამის ბიუჯეტი	<p>2018 -2021 წლები - 6 578 800 ლარი.  2018 – 1 644 700 ლარი.  2019 – 1 644 700 ლარი.  2020 – 1 644 700 ლარი.  2021 – 1 644 700 ლარი.</p>

პროგრამის მიზანი	<p>აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასაქმების, დევნილთა და განსახლების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;</p> <p>ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დარგში პრიორიტეტულ ღონისძიებათა შემუშავება;</p> <p>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა, მომსახურების ეფექტიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა;</p> <p>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა.</p>
პროგრამის აღწერა	<p>სოციალური დაცვის ღონისძიებების გაფართოება და დახვეწა; უწყების საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ინფორმირება ხელმისაწვდომი სამედიცინო და სოციალური მომსახურების შესახებ; სამინისტროს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება;</p>
პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)	<p>აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესწავლილია, დაავადებათა და მართვად ინფექციათა მიმართულებით პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებულია;</p> <p>პენსიონერების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი სხვა ფენებისათვის სამედიცინო და სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამები შემუშავებული და განხორციელებულია.</p>
პრიორიტეტი	<b>მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა</b>
პროგრამა	<b>სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება.</b>
განხორციელების ვადები	2018 -2021 წლები.
პროგრამის ბიუჯეტი	<p>2018 -2021 წლები - 25 810 000 ლარი.</p> <p>2018 – 5 600 000 ლარი.</p> <p>2019 – 6 150 000 ლარი.</p> <p>2020 – 6 700 000 ლარი.</p> <p>2021 – 7 360 000 ლარი.</p>
პროგრამის მიზანი	<p>სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.</p> <p>მოსახლეობისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p> <p>სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა. ნევროზული რეგისტრის</p>

	<p>დაავადებების მქონე პირთა სტაციონარული მკურნალობის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა, 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოქალაქეების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისა და მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ფინანსური რისკებისგან დაცვა.</p>
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p><b>ქვეპროგრამა 1</b> – მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება.</p> <p>მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამით განხორციელდება სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო პროგრამებით.</p> <p><b>ქვეპროგრამა 2</b> – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის დაცვა საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ონკოლოგიური დაავადების მქონე მოქალაქეების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება, თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში. ქვეპროგრამით განიხილება იმ პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება, რომლებიც ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით "მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში" (სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტი).</p> <p><b>ქვეპროგრამა 3</b> – სახსრების ენდოპროტეზირება</p> <p>სახსრების ენდოპროტეზირების ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p> <p><b>ქვეპროგრამა 4</b> – ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა</p> <p>ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p>

	<p><b>ქვეპროგრამა 5</b> - ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება.</p> <p>ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამის მიზანია ონკოლოგიურ პაციენტთათვის (დადასტურებული დიაგნოზით) იმ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა, რომელიც არ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.</p> <p><b>ქვეპროგრამა 6</b> – ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.</p> <p>ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ქვეპროგრამის მიზანია აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ონკოლოგიური და გეგმიური სამედიცინო მომსახურების თანაგადახდის სრულად დაფინანსება პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში.</p> <p><b>ქვეპროგრამა 7</b> -ნევროზული რეგისტრის დაავადებების მქონე პირთა სტაციონარული მკურნალობა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია-ნევროზული რეგისტრის პაციენტთათვის სტაციონარული მკურნალობის ხელმისაწვდომობა, შესაბამისი მკურნალობის შედეგად შრომისუნარობის მაჩვენებლის შემცირება, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.</p> <p><b>ქვეპროგრამა 8</b> მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია.</p> <p>მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაციის ქვეპროგრამის მიზანია- მოსახლეობის (18 წლის ზემოთ) ნებისმიერი ორგანული სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული უუნარობის ფუნქციის აღდგენა და შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლება.</p>
<p>პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)</p>	<p>ბენეფიციარების სიცოცხლე და ჯანმრთელობა შენარჩუნებულია/ გაუმჯობესებულია, შესაძლებლობების შეზღუდვა შემცირებულია; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცულია.</p>

პრიორიტეტი	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა
პროგრამა	პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა
განხორციელების ვადები	2018 -2021 წლები.
პროგრამის ბიუჯეტი	<p>2018 -2021 წლები - 2 518 400 ლარი.</p> <p>2018 – 629 600 ლარი.</p> <p>2019 – 629 600 ლარი.</p> <p>2020 – 629 600 ლარი.</p> <p>2021 – 629 600 ლარი.</p>

<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) ადგილზე დამაგრება (მატერიალური სტიმულირება მათთვის ხელფასის დანამატის დანიშვნით) სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა; მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენით გაიზრდება მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობა. მოსახლეობას დროულად მიეწოდება სამედიცინო მომსახურება.</p>
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p><b>ქვეპროგრამა 1</b> - სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის(სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) დამატებითი შრომის ანაზღაურება - სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის სამედიცინო პერსონალის სოფლებში დამაგრება სოფლის ექიმების, სოფლის ექთანის მატერიალური სტიმულირება მათთვის ხელფასის დანამატის დანიშვნით– მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმებისათვის – 300 ლარი, სოფლის ექთნისათვის -150 ლარი, ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 150 ლარი, სოფლის ექთნისათვის -100 ლარი).</p> <p><b>ქვეპროგრამა 2.</b> სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა - მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესებისა და მობილურობის გაზრდის მიზნით განხორციელდება მაღალი გამავლობის 8 ავტომანქანის შეძენა.</p>
<p>პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)</p>	<p>სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი, უწყვეტი სამედიცინო მომსახურებით, მუნიციპალიტეტების სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობის გაზრდის მიზნით დამატებით შეძენილი იქნება მაღალი გამავლობის ავტომანქანები.</p>

პრიორიტეტი	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა
პროგრამა	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა
განხორციელების ვადები	2018–2021 წლები
პროგრამის ბიუჯეტი	<p>სულ: 2018 წელი – 1 353 530 ლარი, მათ შორის ა. ა/რ 1 330 970, საკუთარი შემოსავლები: 22 560 ლარი.</p> <p>სულ: 2019 წელი - 1 353 530 ლარი, მათ შორის ა. ა/რ 1 330 970, საკუთარი შემოსავლები: 22 560 ლარი.</p> <p>სულ: 2020 წელი -1 353 530 ლარი, მათ შორის ა. ა/რ 1 330 970, საკუთარი შემოსავლები: 22 560 ლარი.</p> <p>სულ: 2021 წელი – 1 353 530 ლარი, მათ შორის ა. ა/რ 1 330 970, საკუთარი შემოსავლები: 22 560 ლარი.</p> <p>სულ 2018–2021 წწ – 5 414 120 ლარი. მათ შორის: ა. ა/რ 5 323 880 ლარი, საკუთარი შემოსავლები - 90 240 ლარი.</p>
პროგრამის მიზანი	რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნისა და დროული რეაგირების გზით, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების დონის გაზრდა და ჩართულობა. დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა.
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:</p> <p><b>1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა</b></p> <p>გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის მართვა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა.</p> <p>სახელმწიფო სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა შეკრება და გადაცემა, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად მონიტორინგის წარმოება; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ეპიდემიოლოგიური მხარდაჭერა.</p> <p><b>2. დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა</b></p> <p>მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა და მედიკამენტოზური პროფილაქტიკა 2017-2018წწ დაბადებულ ბავშვებში მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე</p> <p>ფსიქიური ჯანმრთელობის ხელშეწყობა მოზარდ მოსახლეობაში, რაც გულისხმობს ფსიქიური და ქცევითი აშლილობების ადრეულ გამოვლენას, მოზარდი მოსახლეობის ცნობიერების დონის გაზრდას ფსიქიურ აშლილობებსა და სუიციდზე</p>

	<p>ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა რეგიონის ტერიტორიაზე ანტენატალურ კომპონენტის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში რეგისტრირებულ ორსულებში C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება დაავადების პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით ახალშობილთა სმენის სკრინინგი (მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე დაბადებულ ახალშობილებში)</p> <p>ჰელმინთოზების სპექტრის დადგენა სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებში</p>
<p>პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)</p>	<p>რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა და შენარჩუნება, მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, დაავადებათა ადრეული გამოვლენა, დიაგნოსტიკა და პრევენცია, მოსახლეობის ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა.</p>